საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 01-04/105 2.12 2021 წ.

MES 2 21 0001294620

შემოსავალი

02/12/2021

სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ 2021 წელს გამოცხადებულ პროფესიული მომზადების/გადამზადების საგანმანათლებლო პროგრამებზე დარეგისტრირებული აპლიკანტების შერჩევის, შეფასების პროცედურებისა და ჩარიცხვის წესის შესახებ

2021 წლის მიღების იმ პროფესიული მომზადების/გადამზადების საგანმანათლებლო პროგრამებზე დარეგისტრირებული მსმენელების შესარჩევად, რომელთა შეფასება უნდა განხორციელდეს საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ, აპლიკანტთა შეფასებისა და ჩარიცხვის ღონიძიებათა განხორციელებისა და პროცედურების განსაზღვრის მიზნით, ვბრძანებ :

1. დამტკიცდეს „სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ 2021 წელს გამოცხადებულ პროფესიული მომზადების/გადამზადების საგანმანათლებლო პროგრამებზე დარეგისტრირებული აპლიკანტების შერჩევის, შეფასების პროცედურებისა და ჩარიცხვის წესი“ დანართი 1-ის შესაბამისად;

2. კანცელარიის უფროსმა (ე. ცირეკიძემ) და მარკეტინგის, პროექტების და ღონისძიებების მართვის სამსახურის უფროსმა (ასოც. პროფ. თ. ვალიშვილი) უზრუნველყონ ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

საფუძველი: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 10.04.2021 წლის №71/ნ ბრძანება „პროფესიული მომზადების პროგრამაზე და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“; უნივერსიტეტის რექტორის 30.11.2021 № 01-04/103 (MES 1 21 0001281452) ბრძანება „სსიპ-აკაკ

ი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესიული მომზადების პროგრამებზე მიღების გამოცხადების,აპლიკანტთა რეგისტრაციის ვადების დადგენის,აპლიკანტთა შერჩევის თარიღის განსაზღვრის,ჩარიცხვის უფლებამოპოვებული აპლიკანტების მიერ საბუთების წარმოდგენის ვადის განსაზღვრის,ჩარიცხვის თარიღის,პროფესიული მომზადების/გადამზადების ელექტრონულ პორტალზე პროგრამებზე ჩარიცხულ მსმენელთა რეგისტრაციის ვადებისა და სწავლის დაწყების თარიღის განსაზღვრის შესახებ"; პროფესიული და უწყვეტი განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მარეგულირებელი წესი.

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
რექტორი როლანდ კოპალიანი

პროფესიული და უწყვეტი განათლების ცენტრის
ხელმძღვანელი სერგო სვანაძე